№ 547. სამშაბათი, 2 ივნისი. 1896—1898 სამშაბათი, 2 ივნისი, № 547

სტამბა და რედაქცია:
ტფილისი, სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო ქარვასლა.
ის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ აქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და ამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამ. საზოგადოების" წიგნის მაღაზიას.
მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.
რის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ-დღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპ.
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი [illegible] 10 კ.
მეოთხეზე 4 კაპ.

Типографія и Редакція
„ЦНОБИСЪ ПУРЦЕЛИ".
Тифлисъ, Дворцовая д. Дворянства
Телефонъ № 363.

!!ყველას საგულისხმოდ!!

31 მაისიდან **მცხეთის** სადგურის მახლობლად 200 საჟენის მანძილზე (ბეჟანოვის სააგარაკოში)

სასეირნო ბაღი

არმაზი

ბაღში იქნება მუდმივ ევროპიული და ადგილობრივი **საჭმელ-სასმელი.**

ავდრებისა და უამინდობის დროს ბაღში გამართულია **ფარდულები და ოთახები.**

ეზოში მშვენიერს აუზში სასმელი წყალია წყაროდგან,

ცოცხალი თევზები

ყველაფერი იაფად

მშვიდობიანობა და სიწყნარე ყოველთვის დაცული იქნება.

(40—4) **ე. ჩხარტიშვილი**

პანსიონი და სასწავლებელი დიდებულიძისა

ღებულობს ბავშვებს მოსამზადებლად ამ ზაფხულშიც. სურვილისამებრ დედ-მამისა, შეიძლება დიდ სიცხეებში ბავშვები **იყოლიონ სოფელში**, რომელიც შემკობილია ჩინებული ჰაერით, წყაროს წყლებით და სადგომით.

იკითხეთ: მიხეილის ქუჩა სახ. № 146.

Училище и пансіонъ **Дидебулидзе**
Михайловская ул. № 146. (150—148)

შპალერების საწყობი

ი. გ. მელიქიშვილისა

ტფილისი, სასახლის ქ. სათავ.-აზნ. სახლი № 102

ყოველთვის იშოვება მრავალი ხარისხის შპალერი

ფასი ყველაფერზე იაფია

შპალერი თვითო ნაჭერი **8** კაპ. მოყოლებული 20 მანათამდე ოთახ-დარბაზების მოსართავი და გასაწყობი სამკაულები.

Депо обоевъ

І. Г. МЕЛИКОВА

Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузинскаго Дворянства (бывш. Арцруни) № 102, около муз' магаз. ЛАНКО. (100 13)

გამოვიდა და ისყიდება

წ.-კ. გ. საზოგადოების და ქართველთა ამხან. მაღაზიებში

ლეხი-კაცის ისტორია

ერკმან-შატრიანისა

თარგმანი **ივ. მაჭავარიანისა**

წილი პირველი: **საერო კრება.**

ილი მეორე: **სამშობლოს განსაცდელი.**

თითო ნაწილისა **სამი აბაზი.**

კარგს ქაღალდზე ხუთმეტი შაური.

ისყიდება ი. მაჭავარიანის თარგმანები

ბრჭყალები,

მოქმ. დრამა პოლ ერვიესი. ფასი 30 კ.

ივდითი,

რაგედ. 5 მოქმ. ჯიაკომეტისა, ფასი 30 კ.

ნც ფას-დადებით გაიწერს არა ნაკლებ ხუთი წიგნისა, მანეთზე 30 კაპ. დაეთმობა. (30—26)

„ბავშვების მოკეთის"

შესახებ.

აუარებელი გამამხნევებელი წერილები მშობლებისა და მასწავლებლებისა და მარჯვედ ყიდვა ამ წიგნისა მაიძულებენ მეორე გამოცემა დავიწყო და ვსთხოვ ყველას, ვისაც-კი გული ერჩის სამშობლო საყმაწვილო ლიტერატურისათვის, მომაწოდონ თავიანთი შთაბეჭდილებანი და შენიშვნები ამ წიგნის შესახებ. — ყველა შენიშვნას სულითა და გულით მივეგებები. მიწერ-მოწერა შეიძლება ან ჩემს სახელობაზე სათავად-აზნაურო სკოლაში, ან „ცნობის ფურცლის" რედაქციაში.

წიგნი „ბავშვების მოკეთე" მოწონებული და სახელმძღვანელოთ დადებულია მთავრობის მიერ.

ეს წიგნი იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში. — სოფლის მასწავლებლებს იაფად დაეთმობათ, ე. ი. უყდო 20 კაპ., ყდიანი 25 კაპ., თუ პირდაპირ ჩვენგან გამოიწერავენ.

ადრესი: Тифлисъ. Типографія Хеладзе, для передачи учителю Натадзе.

(50—15) პატივისცემით **ალ. ნათაძე.**

ქართული თეატრი

შაბათს, 6 ივნისს 1898 წ.

ქართული საერო ხორო ა. კავსაძის ლოტბარობით გამართავს

კონცერტს

ოთხ განყოფილებად (22 საგალობლით)

პროგრამა შევსებულია ახალის სიმღერებით და სხვათა შორის ხორო შეასრულებს „ფერხულს".

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში. ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი $8^1/_2$ საათზე

გამგე და ადმინისტრ. ნ. გოცირიძე

(5—2)

განისვრა და დაფასება

ტყიან მამულებისა

დაფასება სამეურნეო შემოსავლისა

მამულის გეგმის შედგენას და სხ. კისრულობს **ალექსი გრიგოლის ძე სნეჟკოვი**, ლაბორატორიის ქუჩა № 26. ტელეფონი № 567.

Алексѣй Григоріевичъ Снѣжковъ, Лабораторная, № 26. (50—28)

ექიმი

კ. ი. გძელიშვილი

მიიღებს

ყელისა, ცხვირისა და ყურით

ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს. საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკლესიის პირდაპირ.

Докторъ **К. И. Гдзелишвили.**

Михайловская, противъ кирки.

(100—14)

გამოვიდა და ისყიდება

ქალაქის ყველა მაღაზიებში და ეკკლესიებშიაც

ცხოვრება

ქალწულ მოწამისა და მოციქულთა სწორის

თეკლესი

(სურათით)

გამოცემა მორჩილის **რ. ბარამიძისა**

ფასი ერთი შაური (10—5)

სამკურნალო და ამბულატორია

ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგიო ავამყოფობას და სიფილისს **ფ. კ. გერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ф. ბაცევიჩი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საჟისთვის.

სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**

Лѣчебница С. В. Топурія въ Кутаисѣ,

ახალი ამბავი

⁂ **წლიური კრება წერა-კითხვის გამ. საზოგადოებისა** მოხდა მაისის 30-ს საღამოს სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში. კრებას თავმჯდომარეობდა თ. ილია ჭავჭავაძე. კრებას მოხსენდა-რა საზოგადოება წევრის ალექსანდრე როინაშვილის გარდაცვალება, რომელმაც მთელი თავის ძვირფასი მუზეი შესწირა ამ საზოგადოებას ფეხზე წამოდგომით პატივი სცა.

მას შემდეგ შეუდგნენ ანგარიშის განხილვას და სარევიზიო კომისიის მოხსენებას. დიდი-და ხანგრძლივი ბაასი და კამათობა გამოიწვია სენაკის სკოლის საქმემ... ამ „საქმემ" ყველაზე მეტად ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ანგარიში ერთხმივ დამტკიცებული იქმნა.

შემდეგ კენჭი ჩამოატარეს გამგეობის წევრებს და არჩეულ აღმოჩნდნენ: თავმჯდომარედ თავ. ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე (29 თეთ. 1 შავი) გამგეობის წევრებად იაკობ გოგებაშვილი (28 თ. 2 შ.) ექვთიმე თაყაიშვილი (26 თ. 4 შ.) დავით კარიჭაშვილი (27—3) ივანე ზურაბიშვილი (23—7) ნიკოლოზ ცხვედაძე (21—9) თავ. კიტა აბაშიძე (22—8) ალექსანდრე ჭყონია (18—11) ეკატერინე გაბაშვილისა (18—12) გრიგოლ ყიფშიძე (18—12) გიორგი იოსელიანი (16—14).

კრება გათავდა ნაშუაღამევის 3 საათზე.

⁂ **დრამატიული საზოგადოების კრება.** გუშინ-წინ სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნული იყო წლიური კრება დრამატიული საზოგადოებისა. კრებას დაესწრო ოცდა-ათი წევრი და მრავალი გარეშე პირებიც.

კრების თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქმნა პავლე როსტომის ძე ყიფიანი. კრებაზე ხანგრძლივი ბაასი გაიმართა იმაზე, თუ როგორ უნდა აწარმოვონ მომავალში ქართული თეატრის საქმე.

სხვათა შორის გამოითქვა, რომ ჩვენს წარმოდგენებს ხალხური ხასიათი მიეცესო. ბ-ნმა გიორგი ჟურულმა წინადადება შემოიტანა, რომ ქართ. დრამ. საზოგადოებამ აიღოს ეხლანდელი თეატრი და თვით აწარმოვოს, რათა მხოლოდ მაშინ-ღა შეიძლება ცოტაოდნად მაინც გაუმჯობესდეს ჩვენი თეატრის საქმეო ნივთიერის თუ ხელოვნურის მხრითაო, ამისათვის საჭიროა, რომ საზოგადოებამ თავად-აზნაურთა კომისიას სთხოვოს, რომ ზემოდ ხსენებული შენობა უსასყიდლოდ დაგვითმონ, რადგან ჩვენი თავად-აზნაურობისათვის სასარგებლო იქნება ეგა და დრამ. საზოგადოებასაც ხელს გაუმართავსო.

ბოლოს შეუდგნენ მმართველობის წევრების დასახელებას, მაგრამ

მომეტებულმა უარი განაცხადა და მიტომ კრების გაგრძელება დანიშნულ იქმნა პარასკევისათვის 5 ივნისს, სალამოს შვიდ საათზე.

⁂ **კავკასიის მთავარ-მართებელს** გენ.-ად. თავ. გოლიცინს, როგორც ისმის, განზრახვა აქვს 15 ივნისამდე ესენტუკს გაემგზავროს. მადნეულ წყლებზე მთავარ-მართებელი დარჩება ერთ თვეს, შემდეგკი კოჯორს გაემგზავრება.

⁂ **კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწეს** გენ.-ლ ა. ა. ფრეზეს როგორც გავიგეთ, განზრახვა აქვს ამ მოკლე ხანში დროებით თავი დაითხოვოს და გაემგზავროს რუსეთს.

⁂ **კადეტთა კორპუსში კურს დამთავრებული ქართველები.** 30 მაისს გადავდა კურს-დასამთავრებელი ეკზამენები ტფილისის კადეტთა კორპუსში. სულ კურსი დაუმთავრებია 38 მოწაფეს, რომელთაგან 6 ყმაწვილი ქართველებია: თავ. ს. ავალიშვილი, გ. ალხაზიშვილი, თავ. ამირაჯიბი, კ. გაბაშვილი, ვ. მესხი და თავ. ა. ვახვახიშვილი. ამათ შორის მიდიან მიხეილის არტილერიის სასწავლებელში: თავ. ს. ავალიშვილი და გ. ალხაზიშვილი, კონსტანტინეს არტილერიის სასწვლებელში: თავ. გ. ამირაჯიბი, კ. გაბაშვილი და ვ. მესხი, ერთ-ერთ უმთაირეს ტეხნიკურ სასწავლებელში: თავ. ა. ვახვახიშვილი (რომელიც ამასთანავე 38 მოწაფეთა შორის ერთად-ერთი მოწაფეა, უმაღლეს სასწავლებელში მიმავალი).

⁂ **ტფილისის პოლიცმეისტერის სამმართველოში** 1-ლ ივნისიდან მუშაობა თავდება ნაშუადღევის 1-ლ საათზე.

⁂ **საჩუქარი ვარშაველ რუსის ქალთაგან მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესის ფლაბიანესათვის.** ვარშაველ რუსის ქალთ, როგორც გაზ. „Варш. Дн.“-ი სწერს, დაუმზადებიათ საჩუქრად მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესის ფლაბიანესათვის მშვენიერი ხატი, რომელიც ცნობილ ხლებნიკოვის ფირმის მიერ ოქროთია ნაკეთები და რომელზედაც დახატულია შუა ადგილას წმ. სამება, მარცხნივ — წმ. ნინო, ქართველთა განმანათლებელი, ხოლო მარჯვნივ — წმ. ფლაბიანეს სურათი; ქვეშ შემდეგი წარწერა აქვს: „მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესს ფლაბიანეს, საქართველოს ეგზარხოსს, არქიეპისკოპოსს ქართლ-კახეთისას, ყოფილ არქიეპისკოპოსს ხოლმისა და ვარშავისას“. ხატის ზურგზე დახატულია ვარშავის საკათედრო ტაძარი და სახლი, რომელშიაც ცხოვრობდა არქიეპისკოპოსი, ხოლო ამ სურათის ქვეშ არის წარწერა: ვარშავაში მცხოვრებელ მართლ-მადიდებელ ქალთა ლოცვა-კურთხევით მოსახსენებლად. 1891—1898 წწ.“ ეს საჩუქარი შესაფერი ადრესით, იმავე გაზეთის სიტყვით, უკვე გამოუგზავნიათ დანიშნულებისამებრ.

⁂ **ცოლის დაჭრა.** 29 მაისს, ნაშუადღევის 3½ საათზე, ამიერ-კავკასიის რკინის გზის ჩილინგდარმა ნიკოლაიშვილმა, რომელიც ცხოვრობს მე-10 განყოფილებაში მალაკნის მე-3 ქუჩაზე, მძიმედ დასჭრა თავისი ცოლი ნინო.

საქმის გარამოება ასე ყოფილა. ამ დღეს ნინო გამოწერილა რკინის გზის საავადმყოფოდან, წასულა თამამშევის ქარვასლაში საყიდლებისათვის, უყიდნია აქ საკაბე და ქარვასლიდან გამოსვლის დროს შეხვედრია თვის ქმარს, რომელსაც მოუძებნია იგი, და თავის ძმას დ. კეკნაძეს. ნიკოლაიშვილს, დაუნახავს თუ არა ცოლის ხელში ნაყიდი ნივთები, ჩასცივებია მას; რა გიყიდნია და ან ფული საიდან გიშოვნიაო. შემდეგ ნიკოლაიშვილი მისულა თავისი ცოლის ძმებისას. მთის მე-2 ქუჩაზე, კერესელიძის სახლში, და გაჯავრებულს იმით რომ ცოლი პასუხს არ აძლევდა და დაექვებულს, ცოლი მღალატობსო, უძვრია ხანჯალი და მისი ძმებისა და დედის თვალწინ, ხუთგან დაუჭრია ბეჭებში. ორგან მარცხენა ხელში, ზურგში და ღრმად „მუცელში. დაჭრილი ქალი გაგზავნილ იქმნა მიხეილის საავადმყოფოში, სადაც ექიმმა ჭრილობა საშიშრად სცნო.

⁂ **წლიური აქტი საქალებო ინსტიტუტში.** 31 მაისს, ამიერ კავკასიის საქალებო ინსტიტუტში მოხდა, კურსის დამთავრების გამო, წლიური აქტი. წელს ინტიტუტში კურსი დაამთავრა 25 ქალმა: მარიამ შახნაზაროვისამ (დაჯილდოებულია შიფრით) მარიამ გაბაშვილისამ (მთელი სწავლის განმავლობაში ეკუთვნოდა საუკეთესო მოწაფეთ, მაგრამ ტან-მთელობის სისუსტის გამო, მშობელთა თანხმობით; ორ წელიწადს დარჩა მე-11 კლასში და ამის გამო, მოწაფე ქალთა დაჯილდოების შესახები წესების ძალით, მთელი საპედაგოგიო რჩევის სამწუხაროდ, ვეღარ იქმნა დაჯილდოებული დამსახურებისამებრ თუმცა სწავლის ნიშსაზოგადო რაოდენობით პირველ მოწაფესთან თანაბრად გაათავა კურსი), ელისაბედ კაზლოვსკის ასულმა (მიიღო ოქროს მედალი) ქსენია სლივიცკის ასულმა (1-ლი ვერცხლის მედალი, სამხატვრო ნივთები და ქებითი მოხსენება ხატვის წარჩინებული ცოდნისათვის), ოლგა ლოპოტომ (მე-2 ვერცხლის მედალი, ნოტები, ნოტები მუსიკისათვის და ქებითი მოხსენება ხატვისატვის, სოფია კრივეცკის ასულმა (1-ლი წიგნი), ელისაბედ ბაგრატიონ-მუხრანბატონის ასულმა (მე-2 წიგნი, ქებითი მოხსენება წარჩინებულ ხატვისათვის და სამხატვრო ნივთები); ანა ჩიჯავაძე-მიხაილოვის ასულმა (მე-3 წიგნი, წარჩინებულ ხატვისათვის ქებითი მოხსენება) დარია ბუატმა (მე-4 წიგნი, ქებითი მოხსენება წარჩინებულ ხატვისათვისათვის და სამხატვრო ნივთები) მარიამ ნევტონოვასულმა (მე-5 წიგნი) ნინო ალხაზიშვილის ასულმა მარიამ ამიროვის ასულმა, ბარბალე ბაქბეუკმელიქოვის ასულმა, ოლგა ზელის ასულმა (ნოტები მუსიკისათვის, ქებითი მოხსენება წარჩინებულის ხატვისათვის), სუსანა ირიცფუხოვის ასულმა (ნოტები მუსიკისათვის), ელენა კიკინას ასულმა, ოლგა კოხანოვსკის ასულმა, მარიამ მუატის ასულმა (წიგნი ხოროს მართვისათვის), ანასტასია ნაცვალიშვილის ასულმა (ქებითი მოხსენება წარჩინებულ ხატვისათვის), ლიდია ნიკიტინის ასულმა, ლიდია ნიკოლიჩის ასულმა, ნადეჟდა რაკოვის ასულმა, ნადეჟდა სუხოვის ასულმა, უდვიგა ბრჟანოვსკის ასულმა, ჟოზეფინა შპაკოვსკის ასულმა (ნოტები მუსიკისათვის, სამხატვრო ნივთები და ქებითი მოხსენება).

⁂ **მადლობის გამოცხადება.** უგულითადეს მადლობას ვუცხადებ ქვემოხსენებულ პირთ, რომელთაც შემოსწირეს რწმუნებულის ჩემდამო აცანის ოქონის ეკკლესიისთვის თალის ჯვარის საყიდლად: გერასიმე ტუსკიამ 6 მ., ა. ნიკოლაიშვილმა 3 მ., ს. ჯაყელმა 3 მ., ი. და პ. ცინცაძეებმა, ლუარსაბ ნებიერიძემ 1 მ. გენდრიხმა, ს. ქერქაძემ და ილეჟავამ თითო მანეთი მ. იმნაიშვილმა, დ. ნიკოლაიშვილმა, ს. ჰანტურიშვილმა, ა. ნიკოლაიშვილმა ათი შაური, კ. წეროძემ 30 კ., კ. ცომაიამ 25 კ., უცნობმა 50 კ. აგრეთვე მადლობას ვუცხადებ ძმ. სიმონე ივანე და სერგი ჰანტერიშვილებს, რომელთაც ხუთი მან. შემოსწირეს ამავე ეკკლესიას.

ბლ. მღ. ს. ჩხაიძე

⁂ **შეცდომის გასწორება.** ამ წლის 6 მაისის „ცნობის ფურცელში“ № 526-ში შეცდომით არის დაბეჭდილი: „ბახვი“ (გურია) სკოლის შესახებ. უნდა ყოფილიყო ს. ბახვის მაგიერ „ხვარბეთი“ (გურია) სკოლის შესახებ.

ხ. მანთიძე

⁂ **ს. კახვი. რუს დაწყვეტა.** აქ გაყვანილია დიდი რუ „ყაიბულა“, რომელიც კარგა დიდს მინდვრებსა რწყავს და მრავალი წისქვილები ბრუნავს მაზედ მიუხედავად ამ დიდ საჭიროების, ს. კახვში მცხოვრებლები დრო გამოშვებით დასწყვეტენ ამ რუს ხოლმე და იჭერენ თევზს რის გამო მთელი დღე და ღამე წისქვილები ჩერდებიან უწყლობით და მხვნელმთესველს ხალხსაც ხელს უცარავს. სად გაგონილა, რამდენიც იმათ თევზი მოუნდეთ, იმდენჯერ დასწყვიტონ რუ და მოაცდინონ წისქვილები და სარწყავი მიწაი ამის გარდა გამაგრებულს სათავეს ანგრევენ და აფუჭებენ, რითაც ძნელდება ზაფხულში წყლის გამოყვანა.

სოფელ კახვში დაუყენებიათ იმისთანა ნაცვალი, რომელსაც ყოველი ავი თუ გაამხნევებს თორემ სასიკეთოდ ვერ არის მარდი და მარჯვე თუ ყურადღება არავინ მიაქცია, შესაძლებელია რამე უსიამოვნება მოხდეს და მერე გვიანღა იქნება.

სამაჩაბლოელი

⁂ **დუშეთი. დამაწიოკებელი სეტყვა.** დუშეთში და გარშემო სოფლებში ზედი-ზედ კაკლის ოდენა სეტყვა მოვიდა. ვენახ-ყანები მთლად წაახდინა. გლეხ-კაცობა ფრიად დაღონებულია და თუ ხარჯის გარდახდის შეღავათს არ მისცემენ, უკიდურესს მდგომარეობაში ჩაცვივიან.

⁂ **დ. ჩოხატაური. წარმოდგენის გადადება.** ჩვენს პატარა დაბაში გვაქვს სამკითხველო, რომელიც არსებობს კერძო შემოწირულებით; მაგრამ, როგორც ვიცით საზოგადოდ კერძო შემოწირულება ვერ აკმაყოფილებს სამკითხველოს მოთხოვნილებას; ამის გამო სასარგებლოდ მოიწადინეს წარმოდგენის გამართვა ჩოხატაურის მასწავლებელმა და სხვამ. ამოარჩიეს პიესა, იშოვეს მანდილოსნები, რომელთაც სურდათ და შეეძლოთ როლის ასრულება. მოემზადნენ და საქმე კარგათ მიდიოდა, მაგრამ ერთმა გაუნათლებელმა ვაჟბატონმა მათ ხელი შეუშალა; ამ ვაჟბატონის მეოხებით მანდილოსნებმა უარი განაცხადეს წარმოდგენაში მონაწილეობის მიღებაზე თურმე ნუ იტყვით, ხსენებულ ვაჟბატონს ჩაუგონებია მანდილოსნებისთვის, ვითომც სცენაზე გამოსვლა დიდად რამ სამარცხვინო საქმე იყოს მანდილოსნებსაც თურმე დაუჯერებიათ და წარმოდგენის გამართვაზე ზრუნვაც მოისპო, რადგან ამ მანდილოსნებს სხვებმაც წაბაძეს.

მოსეირნე

⁂ **გორი. სამეურნეო ამხანაგობა.** 26 მაისს აქ ამოვიდა გამგეობა გორის მაზრის მემამულეთა ამხანაგობისა, მათ შორის დირექტორი გამგე ივანე გიორგის ძე მაჩაბელიც. მიზანი მათი ამოსვლისა იყო გაღება გორში ამხანაგობის განყოფილებისა დაიჭირეს ქალაქის დიდ ცარსკის ქუჩაზე საუცხოვო შენობა ექვსას მანეთათ შენობა ექვსას მანეთათ წელიწადში და პირველს ენკენისთვიდგანაც ვაჭრობას შეუდგებიან. ზედამხედველათ განყოფილებისა დაიჭირეს კარგი მცოდნე პატიოსანი და ვაჭრობაში გამოცდილი კაცი გაბრიელ იოსების ძე რატიშვილი წელიწადში ექვსას მანეთათ დივიდენდის გარდა. ამ შენობაში მოთავსებული იქნება შეძინებული ხორბალი, ნავთისა და ყოველნაირი საჭიროების ვაჭრობა.

იმედია ჩვენი ქართველი საზოგადოების თანაგრძნობით ეს ამხანაგობა დასძლევს აქაურ ძვირათ გამყიდველს ვაჭრებს და შეუმსუბუქებს ხარჯს აქაურს მყიდველებს. ამხანაგობის წევრთა კრებისაგან გამგეობას ნება აქვს მომავალში როგორც საქმეს და ვაჭრობის აპერაციას დახედონ გახსნან სადაც საჭიროდ დაინახონ განყოფილებები, რის ძალითაც გამგეობამ გარდასწვიტა მალე გახსნან განყოფილება ქ. ტფილისში, სადაც ჯერჯერობით ივაჭრებენ მხოლოდ ხორბლით. ვაჭრობისთვის აირჩიეს ერთხმად ნაწილი ქალაქისა რიყე.

⁂ **სოფ. მეღვრეკისი. გამოცდა სამრევლო სკოლაში.** 28 მაისს მოვიდნენ აქ გორის მაზრის სამრევლო სკოლების საპატიო მზრუნველი სტატსკი სოვეტნიკი ბ-ნი ივ. დ. სულხანიშვილი, გორის და დუშეთის სამრევლო-საეკკლესიო სკოლების მეთვალ-ყურე ბ-ნი ვენ. კონტრიძე, სოფ. ტირძნისის ორკლასიან სასწავლებლის გამგე მასწავლებლებითურთ და ფცის მღვ. მ. დევიძე და დაიწყეს შეგირდების გამოცდა ნაშუადღევისას, რომელმაც ჩინებულად ჩაირა. ყვე
შეგირდების მკაფიო და სწრა
პასუხები ყველა მსმენელს აკვი
ვებდნენ, რადგან სულ ერთ
წლის [illegible]
დებმა [illegible]
თავი, რამაც ნათლად დაგვანა
რომ გამგეს სკოლისას მამა სა
კენჭაძეს არა სძინებია, არამ
ერთგულად და თვალ-საჩინოდ ჰქ
ნია ყურადღება მიქცეული სკ
ლაზე. გამოცდის გათავებისას შ
გირდები დაითხოვეს და ბ. სულ
ხანიშვილმა წასვლისას შემდეგ
სიტყვით მიჰმართა სკოლის გამგ
მამა ს. კენჭაძეს: „დიდს მადლო
ბას გიძღვნით და ფრიად მოხარ
ლიცა ვარ, რომ ასე ცოტა ხანშ
თქვენ ეს სკოლა და მისი საქ
ასე მშვენივრად და თვალ-საჩინო
დაგიყენებიათ. თქვენ, როგორ
დაახლოვებით გიცნობთ. სამაგ
ლითო მღვდელი ბრძანდებით ჩვე
მაზრაში და ღმერთსა ვსთხო
რომ სხვებსაც მიებაძნოთ თქვენ
მაგალითისათვის და ყველა საე
ლესიო სამრევლო სკოლების სა
მე აგრე მტკიცე ნიადაგზე დამყ
რებულიყოს, როგორც აქ თქვენ
სკოლა დამხვდა“. მამა კონტრი
მაც დიდი მადლობა გამოუცხა
სკოლის გამგესა და მასწავლებელ
ბ. ციცქიშვილსა ასე მცირე ხნ
განმავლობაში შეგირდების რიგ
ანად მომზადებისათვის, დალოც
შეგირდები, მისცეს იმათაც შეს
ფერი რჩევა-დარიგება და დაიშალ
ნენ ყველანი მეტად ნასიამოვნებ

მეთვალყურე

⁂ **დ. ჩოხატაური.** ყაჩაღ
შეპყრობა. 29 მაისს, ჩოხატაურ
პოლიციის ბოქაულმა შეიპყრ
ციმბირიდგან გამოქცეული ყაჩაღ
სოლომონ დავითის ძე აბაშიძ
რომელიც იყო დამალული მახლო
ბელ სოფელში საჯავახოში, ვა
ლამ ძ— ძის სახლში. ეს საქმე მშ
დობიანათ მოხდა, თუმცა აბაშიძ
განთქმული ვაჟკაცია, მაგრამ თო
ფის უსროლელათ დაემორჩილ
ბოქაულს. იმ დღესვე ყაჩაღი მო
იყვანეს ჩოხატაურის სატუსაღოში

მამის I

⁂ **ს. საბუნჩა.** „შახსეი-ვა
სეის“ დღესასწაულობა სპარსნებ
ორი კვირის წინ დაიწყებენ აქაუ
რი სპარსელები „შახსეი-ვახსეი“-
დღესასწაულისათვის მზადებას
იცვამენ შავს ლასტიკის ტანის
მოსს და სანამ შახსეი-ვახსეის დ
სასწაული არ წავა, იმათ გლო
ტირილს და მწუხარებას სამზღ
რი არა აქვს, ზოგიერთები
დიან ტანზე ყველაფერს,
გის ამხანაგის გარდა, დაიკავებ
ჯაჭვს ხელში და იცემენ გულ
და ზურგში. ყველაზე უფრო
ქები კაცი ის არის მათში, ვინ
ამ დროს ძრიელ დაიმახინჯებს
ვის თავს და ცემა-ტყეპით ავად
გდება. რომ შემეძლოს მათი მო
ქმედების ნათლად აღწერა, ზღ
პარი გეგონებათ და არ დაიჯ
რებთ. „შახსეი-ვახსეის“ დღეს
წაულის გადასახდელად აქაურ
სპარსელებს აქვს ერთი ადგილ
სადაც იკრიბებიან დიდი და პატ
რა, ქალი და კაცი ყველანი სხ
დან; ქალები ცალკე არიან
ჩადრი აქვთ პირისახეზე ჩამოფარ
ბული და არაფრის გულისხმ

თავის სახეს არ დაანახვებენ სხვას. კაცებს და პატარა ბავშვებს გული ჯავლებული აქვთ და ქალი და კაცი დიდი და პატარა მწუხარებით აჩვილებულის გულით ტირიან. შუაგულ ადგილას განგებ კარვები აქვთ მომზადებული, რომელშიაც სხვა და სხვა ბარგი აქვთ შენახული, ვითომც ზოგიერთები დაბინავებულნი არიან, შიგ რამდენიმე წყება მიშვლები დარბიან შუა გულ ადგილას იგლეჯენ სიმწარით ხორცს, ზოგ წყებას თეთრი ტანისამოსი აცვია, ყველას ბასრი ხანჯალი უკავია ხელში და ვერ წარმოიდგენთ, როგორ განწირულათ იჩეხენ თავიანთ თავებს. ზოგს მეტი მოსდის, მისდის გული, ეცემა მიწაზედ მაგრამ ხანჯალს ხელიდგან არ აგდებს და „შამხსეი-ვახსეის“ ძ-ხილით კიდევ იჩეხს თავის თავს. ზოგი იმდენად გატაცებულია ამ დროს, თავი რომ მოიკლას, არ შურს, მაგრამ ამ დროს იქვე არიან გამშველებლები და თვალ-ყურის მდევნელები, რომლებიც იმათ ვინც მეტს აღელვებაში შედის, დიდის ხვეწნით ხანჯალს ართმევენ და ექიმს მოაშველებენ ხოლმე. ზოგიერთი ექიმს არ იკარებს და ამბობს მორჩენა რომ მდომოდა თავსაც არ დავიჩეხდიო, დეე ასე ვიწვალო სანამ თავის-თავად არ მოვრჩები ან არ მოვკვდებიო. მთელ მაყურებელ ხალხს, როგორც თეატრში სცენაზედ, ისე აჩვენებენ ყოველ მოქმედებას და სივაჟკაცეს, რომელიც გამოუჩენიათ შახსეის-ვახსეის ასანს უსეინს და ალის. ესენი ამათი წმინდანები და გმირები არიან. ამ დროს მოღლას ხმა მაღლა ტირილს სამძღვარი არა აქვს. ქვის გული უნდა ჰქონდეს ადამიანს ამ სურათს უყუროს და გული არ აუჩვილდეს. როდესაც ამ ნაირი ამათი თქმობა გათავდება, კარვებს ცეცხლს წაუკიდებენ, დაატუსაღებენ რამდენსამე პატარა ყმაწვილს შეუკვრენ ხელებს, ჩააბმე საბელს კისერში და ჯოხის ცემით დაატარებენ ქუჩა-ქუჩა. ამის დამნახველი სპარსელი ქალები და კაცები სტირიან გულ-გახეთქილნი ხმა-მაღლა, და იგლეჯენ თავიანთ ხორცს. ამ დროს გაცინებულს იმათში ვერავის ნახავ და თუ მოასწრეს თვალი რომელიმეს, ვაი იმის დღეს.

ვარდენ ყიფიანი

*** **ს. ჭიათურა** (ზემო იმერეთი). **აქაური ბიბლიოთეკის გამო.** ვერც ერთი საზოგადო დაწესებულება ამდენ გაჭირვებას ვერ აიტანს, რამდენიც აქაურმა ბიბლიოთეკამ აიტანა და მგონი აქნობამდე მისი ხსენებაც აღარ დარჩებოდა რომ, ბბ. კ. მოდებაძე და კ. წერეთელი არ გამოსჩენოდნენ, რისთვისაც დიდ მადლობის ღირსნიც არიან. ეს ორი პატიოსანი კაცი სწორედ იმ დროს წამოეშველნენ, როცა ის ყველასაგან მოძულებული, უკანასკნელ დღეში იყო თუმცა მართალია, დღესაც ძალიან ღარიბია ეს ბიბლიოთეკა, მაგრამ მისს შეძლებაზე ესეც დიდ დიდებად უნდა ჩაითვალოს რომ, ამ წელიწადში ბიბლიოთეკას მოსდის ხუთი სხვა და სხვა გაზეთი. ორი რუსული და სამიც ქართული, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ეს ბიბლიოთეკა ძრიელ ღარიბია, არც გამგე ჰყავს და ყველასაგან დახმარებაა საჭირო, ზოგიერთი პირები გაზეთებს, შემოტანისთანავე იტაცებენ და უკან კი აღარ მოაქვთ. სხვა რომ არა იყოს-რა დიდი უპირატესობაა სწორედ ესეთი საქციელი!

კარგი იქნება რომ, გაზეთებს ყველა ბიბლიოთეკაში წაიკითხავდეს და წაღებას ნუ იკადრებენ, თორემ როგორც ბიბლიოთეკის კარებზე, გაკრულ ქაღალდზე წარწერიდან სჩანს, წინააღმდეგ შემთხვევაში ბიბლიოთეკა დაიხურება და ეგ ხომ უარესი თავის ტეხა იქნება.

— **ბაზრობა სხვა ადგილზეა საჭირო.** აქ კვირა-პარასკეობით იციან ბაზრობა, სადაც ჩამოაქვთ სოფლებიდან შინაური სხვა და სხვა ნაწარმოები, მყიდველ-გამყიდველში ბაზარში გროვდება, და მერე ისიც იქ, სადაც გზას ორი არშინი სისრულე თუ ექნება, რის გამოც ყოველ ბაზარზე, გამვლელ-გამომვლელი, ძალიან შევიწროებულია და ამავე დროს იქვე კი დიდი ვებერთელა მინდორი, სულ ხუთი თუ ათი საჟენით არის დაშორებული, რომელიც ჩემის ფიქრით ძალიან კარგი იქნება ასეთი ბაზრობისათვის, მაგრამ ამას განა მოიფიქრება არ უნდა!

— **გუბედ დამდგარი წყლები.** რკინის გზის სადგურის ახლო, ძალიან ბევრი გუბეები არის დამდგარი, რომელშიაც მუდამ ბაყაყები ყვირიან და ჰაერიც იწამლება და რამდენიც დათბება, იმდენი ცუდი შედეგი მოჰყვება ასეთ გუბეებს და საჭიროა რომ დროით მიექცეს ყურადღება.

— **საქონლის დაკვლა სხვა ადგილზეა საჭირო.** აქაური ყასბები ბაზარზე ძალიან ახლო ჰკლავენ საქონელს და საჭიროა იმათთვის სხვა ადგილი დანიშნოს საქონელის დასაკლავად, თორემ ამ ადგილიდან მუდამ ცუდი სენი ტრიალებს ბაზარში და აბა წარმოიდგინეთ, ის თუ, რა დუხჭირს მიედრება ასეთი სუნი!..

ა. ხაბულიაინი

*** **დ. ზესტაფონი** (ზემო იმერეთი). **ზოგიერთი ვაჭრების თანხმობა.** როგორც შევიტყეთ წელს საზღვარ გარეთიდან ვენახების წამალზე შაბიამანზე (კუპოროსი), სადამოჟნო გადასახადი მოუმატებიათ უმაღლესი მთავრობის განკარგულებით. იმ მიზნით, რომ ყველა მემამულეთათვის ადვილი შესაძენი გამხდარიყო აღნიშნული წამლის ყიდვა და მით ვენახების წამლობა.

წამალს აძლევდნენ უბაჟოთ ყველა იმ პირთ ვინც ერთ რომელიმე საზოგადოებისაგან მიცემულ მოწმობას წარადგენდა, სადაც ჯერ იყო. ზოგიერთმა მოხერხებით გამოიტანეს წამალი უბაჟოთ ხოლო ჩამორთმეულ პირობებს გვერთი აუხვიეს და როგორ ნებავდათ ისე ჰყიდნენ და ვისზედაც სურდათ მასზედ ჰყიდნენ. აქ ზესტაფონში ფუთი წამალი თავიდანვე იყიდებოდა არა ნაკლებ 3 მ. 50 კ. და 3 მ. 60 კ. დღეს კი ნამდვილი ფასი 4 მანეთია. ამ რიგად დიდძალს ფული, რომელიც ხაზინამ დაიკლო ბაჟის გაუქმებით და საწყალ მუშა მემამულე ხალხის შეღავათისათვის იყო დანიშნული ჩავიდა ჯიბეში გაიძვერა ვაჭრებისა, რომლებიც მარად მუშა ხალხის ჯიბის დარაჯნი არიან ამიტომაც წელს რამოდენიმე ათასი მანეთი გამოეცაცა შორაპნის მაზრის მემამულე ხალხს და ჩაჩხრიალდა გაიძვერა ვაჭრების ჯიბეში.

მალი

*** **ს. მარტვილი** (სენაკის მაზრა) **ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს ჩამობრძანება.** 26 მაისს საღმოს ჟამს აქ მარტვილის პირველ კლასის მონასტერში მობრძანდა მისი ყოვლად უსამღვდელოესობა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ალექსანდრე. მონასტერში საზოგადოება დახვდა; შემდგომ წმიდის ხატების მთხვევისა და მრავალ ჟამიერობის დაღაღებისა ყოვლად სამღვდელომ ყველანი დალოცა, მასთანავე სიტყვით მიმართა საზოგადოებას და დაასურათ-ხატა მნიშვნელობა მარტვილის დიდ ტაძრისა პირველ საუკუნიდგანვე ანდრია მოციქულის მიერ მანდ ქრისტეს ჯვარის აღმართვისა, მასთანვე ხალხი დამოძღვრა ქრისტეს მცნებაზე. მას შემდეგ ყოვლად სამღვდელომ ირგვლივ შამოუარა დიდ მარტვილის ტაძრის და დაათვალიერა მდგომარეობა ტაძრის შენობისა და მის გალავანში აღშენებუ სახლებთა მაშინვე განკარგულება მოახდინა და სიძველის გამო დროებით დახურულ იქმნა და მერე შეკეთდეს ერთი მხარე ტაძლისა და ძმათა საკრებულო სახლისა, რომლებიც იყო ამ მოკლე დროში ძრიელი ქარისაგან დაზიანებულნი. მეორე დღეს 27 მაისს ინება დათვალიერება შინაგან ტაძრის შენობისა და მანდ დაცული ძველთა დიდ მნიშვნელოვან საუნჯეთა; ძანვე ინახულა იქვე მიდგმული ორივე, მთავარ ანგელოზის და წმ. გიორგის სახელობის ეკკლესიები და მთში დაცული ნივთებიც; ბძანა შიგ ეკკლესიას, რაც ნაკლულევანება ჰქონდა მათი შევსებ-შესწორებისა, შემდეგ ინახულა ორ-კლასიანი სამაგალითო სამრევლო სასწავლებლის აგებული შენობა და მოწაფენი, აქ მის შემობრძანების დროს შეგირდებმა მწყობრად იგალობეს „მეუფეო ზეცათაო“ და „ისპოლა“; შემდეგ სასწავლებლის მმართველმა მასწავლებელი ვლადიმირ გაბისონიამ მიმართა მათ მეუფებას სიტყვით და აუხსნა სკოლის მდგომარეობა დღიდან დაარსებისა და მომავალში საჭიროება და მოთხოვნილება მისი. ყოვლად სამღვდელომ გამოსცადა შეგირდები და ძლიერ მოეწონა ორთავე კლასის მოწაფეთა ცოდნა-მეცადინობა; ყოვლად სამღვდელომ დამოძღვრა ყველნ ისინი და უკანასკნელში მადლობა გამოუცხადა მასწავლებელთა და მოსწავლეთაც მეცადინეობისათვის.

28 მაისს ყოვლად სამღვდელომ სწირა მონასტერში, ხალხი დამოძღვრა: „მშვიდობა და სიყვარული გქონდესთ ურთი-ერთი და მეც შემწე და მაკურთხებელი გეყოლებით ყველასო.“ შემდეგ ინება დათვალიერება მარტვილის საავადმყოფისა, უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოისა და სამინისტრო ორ-კლასიანი სკოლის შეგირდებისა აღუთქვა ყველას „ზაფხულობით აქ მონასტერში ვიცხოვრებ უხსოვარ დროიდან ჩვეულთ ხშირად მღვდელ-მთავრულ წირვა-ლოცვას არ მოგაკლებთ თან თვალ-ყურს ვადევნებ ყველა დაწესებულებათა მსვლელობას ზნეობრივის და გონებრივის მხრივაო“, საზოგადოება დიდის სასოებით და სიყვარულით ეგუბებოდა თავის მცხოვან ახალს მწყემსთ-მთავარს.

ყოვლად სამღვეელო გამოემშვიდობა საზოგადოებას, დალოცა ისინი და ნაშუადღევის სამ საათზე წაბძანდა ფოთში. აქაურნი მკვიდრნი სრულს იმედს ქვეშე არიან რომ ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე ეს სასიქადულო მღვდელთმთავარი საქართველოსი საზოგადოდ განთქმულ დიდ მოღვაწეობის წილს დადებს ჩვეულებრივ მარტვილის მონასტერსაც, განთქმულს თავის სიძველით.

დამსწრე

თეატრის მატიანე

ქართული წარმოდგენა. გუშინწინ სახელმწიფო თეატრში გამართული იყო პირველი წარმოდგენა ქართულ ენაზე. წარმოდგენილი იყო ისტორიული დრამა „და-ძმა“. უმთავრესს როლებს ასრულებდნენ ოტიას—კ. ყიფიანი, გაიოზს —სვიმონიძე, მარინე ა. კარგარელი.

წარმოდგენამ ჩვეულებრივ კარგად ჩაიარა, განსაკუთრებით შეუდარებელი იყო კ. ყიფიანი. ჩვენ იშვიათად გვინახავს პატივცემული არტისტი ასეთს მადლიანს გუნებაზე. ბ-ნი სვიმონიძე ჩვეულებრივ კარგი იყო, ხოლო უკანასკნელს მოქმედებაში ბევრი მხნეობა, ძალა და გრძნობა გამოიჩინა, ქ-ნი კარგარელი ალაგ-ალაგ სუსტობდა, თორემ საერთოდ კარგი იყო და ეტყობოდა, რომ როლი შესაფერად შეესწავლა, რის გამო საზოგადოებამ მრავალ-ჯერ ტაშიც დაუკრა.

გედევანიშვილის მაგიერ ფაშას როლს ასრულებდა მოუმზადებლად ბ-ნი ადამიძე. ადამიას როლში გ. კანდელაკი და გადიას როლში ე. ჩერქეზიშვილისა, როგორც ყოველთვის, საგანგებონი იყვნენ.

საზოგადოდ წარმოდგენამ კარგად ჩაიარა და ხალხიც კმაყოფილი იყო, მაგრამ რომ ჩვენებური რამე არ გამოერიოს, ხომ შეუძლებელია! ამ საღამოსაც დაპირებული ვოდევილის მაგიერ ხორომ რამდენიმე ხმა შეასრულა. ნეტავ ახალს თეატრში მაინც არ მოეტყუებინათ საზოგადოება, რომელიც ბლომად დაესწრო ამ წარმოდგენას.

ახალი

სამეცნიერო ცნობა

კაცის ჭამიაობა აფრიკაში. აფრიკაში კაცის ჭამიობა ეხლაც არსებობს. კაცის ჭამიობის მიზეზი უნდა შიმშილს მივაწეროთ. შიმშილის გამო ველური ხალხი ჯერ ომში მოკლულ ადამიანის ხორცს სჭამდნენ, მერმე კი ეს მხეცობა სრულ ჩვეულებათ გარდაექცათ. ზოგნი კაცის ჭამიები სწორედ რომ ამ წესსა და რიგს მისდევენ და ამისთანა ჩვეულებაში [illegible] ადგილი მენიამებს უჭირავთ. ლივინგსტონის სიტყვით, მანიამები [illegible] კაცი ჭამიები არიან და ომის გათავების შემდეგ ადამიანის ხორცის შეჭმა მათ შორის შურის ძიებასა ნიშნავს. დედაკაცებს მოკლულ მტერის ხორცის შეჭმის დროს დასწრება აკრძალული აქვსთ. სტენლი მდინარე კონგოზე მოგზაურობის დროს ბევრჯელ შეხვედრია კაცი ჭამიებს, რომელნიც გულ ახდილად ეუბნებოდნენ სტენლის, რომ თქვენი თეთრ-კანიანი კაცების ხორცი გვეგემრიელება და ამიტომ ყველანი უნდა დაგხოცოთო, მაგრამ კაცი ჭამიებმა ეს სურვილი აღსრულებაში ვერ მოიყვანეს. მეორედ, როდესაც სტენლი კაცი ჭამიებს დაედევნა, მათ სოფლამდე მიაღწია, რომლის გარშემო სარებზე ადამიანების თავები ეკიდა. აგრეთვე სტენლიმ ადამიანის ძვლების ხროვები ნახა, რომელნიც უმეტეს ნაწილად მდინარეების ნაპირებზე ეყარა. ერთ ამ სოფლის ქოხში სტენლიმ ადამიანის გვერდებთან ერთად მკლავი ეგდო. ვისმანი და პოგგე ამტკიცებენ, რომ კაცი ჭამიობა შუა აფრიკის ბევრ ადგილებში არსებობსო. უმეტესი ნაწილი კაცის ჭამიებისა მდ. კონგოს მიდამოებზე იმყოფებიანო, რომელნიც ბალუბას და ბასსანის ტომს ეკუთვნიანო. ეს კაცი-ჭამიები ადამიანის ხორცს ღამე სადმე მიყრუებულ ადგილას სჭამენო. ყმაწვილებს და დედა-კაცებს ადამიანის ხორცის ჭამის დროს დასწრება აკრძალული აქვსთ. მოგზაურს ჩარლზ გამილტონს კაცი-ჭამიები უმეტეს ნაწილად ანგოლაში უნახავს, რომელნიც კისსამის ტომს ეკუთვნიან. ახგორის კაცი-ჭამიები შედარებით, სრულებით სხვა წესს მისდევენ. ისინი მარტო იმ ადამიანის ხორცსა სჭამენ, რომელნიც რამე დანაშაულში არიან შემჩნეულნი და ეს ჩვეულება მათ სასტიკ სასჯელად მიაჩნიათ. ბევრ აფრიკის კაცი ჭამიებსა სწამთ, რომ ვითომ შეჭმულ ადამიანის ხორცთან ერთად შემჭმელთან შეჭმულის ღონე და სიმამაცე გადმოდისო. ამ სახით დასავლეთ აფრიკის კაცი ჭამიები შესაჭმელად მამაცს და ამასთანავე ღონიერ ადამიანსა ჰკლავენ. ამ ადამიანის ხორცს ნაწილ ნაწილად ჰყოფენ და ჯარის კაცებს ურიგებენ ხოლმე. ამასთანავე გულსაც პატარ-პატარა ნაჭრებად სჭრიან და მათვე ურიგებენ. ეს კაცი-ჭამიები ფიქრობენ, რომ ომის დროს ჩვენ არა მტერი არ დაგვძლევსო. გვინეის ნაპირზე მცხოვრებნი კი სრულებით სხვა ზნე ჩვეულებას მისდევენ. ახალი სოფლის გაშენების დროს ერთ ხანგსა ჰკლავენ. მისს გულს და ღვიძლს ქათმის, თევზის თხის ხორცთან ერთად სარშავენ და ბოლოს დამსწრე პირთ ურიგებენ ხოლმე. ეპისკოპოს-მისსიონერს კროუზერს უნახავს მდინარე ნიგერის ახლო უზარ-მაზარი კერპების ტაძარი, რომელიც თავით ბოლომდე ადამიანის თავებით და ძვლებით იყო შემოსილი. იქაურ მცხოვრებლებისა თქმით, ძვლები და თავები ტყვედ წამოყვანილთ ეკუთვნიან, რომლების ხორცი შეჭამეს და ძვლები კი თავიანთ ღმერთს იუგუს მოუტანეს; ამ ტყვედ წამოყვანილთა ხორცი განურჩევლად ყველამა სჭამეს: დედაკაცებმაც, ყმაწვილებმაც და სხვებმაც და ძლიერაც ეგემრიელათ. აი როგორ აგვიწერს გუტჩინსონი კაცი

ჭამიაობას მდინარე ნიგერის ბოლო ნაპირებში: „მერხმლე წავიდა და ყველანი ყვირილით თავ-თავიანთ ადგილებიდგან წამოვარდნენ, რომელთაც ხელში თითო დანები ეჭირათ, მივარდნენ მოკლულთან და ყველამ თავისთვის თითო ნაჭერი ჩამოიჭრა. ამ ნადიმში დედაკაცებიც და ყმაწვილებიც იღებდნენ მონაწილეობას. ერთმა დედაკაცმა მეორეს ლანძღვისათანავე ხორცის ნაჭერი წაართვა, რომელსაც ჯერ კიდევ თბილ-თბილი სისხლი გადმოსდიოდა“... ზოგი კაცი ჭამიები ადამიანის ხორცს მიყრუებულ ადგილებში სჭამენ. ამ ბოლოს დროს სამხრეთ აფრიკაში მჭვარტლიანი გამოქვაბულები უპოვნიათ, რომლებშიაც აქა-იქ ხროვით ადამიანის ძვლები ეყარა, განსაკუთრებით დედაკაცებისა და ყმაწვილებისა, შუაზე დაჭრილნი ტვინის ამოსაღებად. ერთ-გამოქვაბულში, ბნელ გალერეისკენ გზა იყო გაყვანილი, სადაც საცოდავნი ტყვენი იყვნენ მოწყვდეულნი და თავისს ჯერს ელოდნენ. ამ გალერეიაში აგრეთვე ზარმაც ცოლებს და მტირალა ბავშვებს ამწყვდევდნენ, რომელნიც ქმრის სადილისთვის მზადდებოდნენ. არც მოხუცნი და არც ავადმყოფნი არ ასცდებოდნენ ამ შესაზარ და ამასთანავე სასტიკ სასჯელს და ჩვეულებას. ყველა ეს მხეცობა სიმშილის გამო კი არა სრულდება, არამედ იმიტომ, რომ კაცი ჭამიები ადამიანის ხორცში დიდ გემოვნებას პოულობენ და უფრო ადამიანზე ნადირობენ, ვიდრე ნადირებზე, რომლითაც იქაური ტყეები სავსეა. ოც და ათი წლის წინედ მდინარე მოლუტას და ჰუტემზავას შუა მდებარე ადგილებში კაცი ჭამიები ცხოვრობდნენ, რომელნიც დიდ შიშს დასცემდნენ ხოლმე ახლო მდებარე სოფლებს. ეს კაცი ჭამიები ადამიანზე სანადიროდ გუნდ-გუნდად გამოდიოდნენ ხოლმე: ჰკრავდნენ გზებსა; წყლის ახლოს იმალებოდნენ და წყალთან მოსულს თავს დაეცემოდნენ. კაცი ჭამიები უმეტესად დედაკაცებზე და ყმაწვილებზე ნადირობდნენ, რომელთაც ჯერ სასტიკად სტანჯავდნენ და მერმე კი საჭმელად ამზადებდნენ. ერთმა მანიუამელ ზანგმა მოგზაურ ვისმანს მოუთხრო, რომ დიდი ხანი არ არის, რაც აქაური მცხოვრებლები ადამიანის ხორცით ვაჭრობდნენო და ეს ვაჭრობა ყველა სოფლებში იყო გავრცელებულიო. უფრო შესაზარ და საშიშ კაცი ჭამიებად ნიამ-ნიამელები ითვლებიან, რომელნიც მდ. თეთრ ნილოსის სამხრეთ მიდამოებში სცხოვრობენ. ნიამ-ნიამელები კაცი ჭამიობას გულ ახდილად მისდევენ. ამ ჩვეულებას ნიამ-ნიამელები სიკეთედ სთვლიან და სილამაზისთვის ყელზე მოკლულ ადამიანის კბილებს იკიდებენ, რომელნიც კანაფებზე არიან ასხმულნი. როგორც მოგზაური შვეინფურტი ამბობს ნიამ-ნიამელები არც დიდს და არც პატარას არა პატიებენ. ისინი აგრეთვე ინაზღეული სიკვდილით მომკვდარ ადამიანსაც დიდი სიამოვნებით მიირთმევენ. ამისთანა მხეცობით აგრეთვე განთქმულნი არიან მანბანგას და მონბუტტუს ტომის კაცი ჭამიები, უკანასკნელნი ნიამ-ნიამელების ახლო სცხოვრობენ. შვეინფურტის სიტყვით, მანბუტტელები. ტყვეთ წამოყვანილთ ძლიერ მხეცურად ექცევიან. ტყვეებს წამოყვანის დროსვე სტანჯავენ და სოფელში მოყვანისათანავე შეჭყრიან ხოღმე ბნელ გამოქვაბულში, სადაც მათ თავისს ჯერს უნდა ელოდონ, მინამ კაცი ჭამიის კუჭში ჩავლენ. ომში გამარჯვებისათანავე მონბუტტელები, მოკლულების ხორცს იყოფენ, მზეზე ახმობენ და მერმე დიდი ქარავნებით თავ-თავიანთ სოფლებისკენ ჰგზავნიან. ერთხელ შვეინფურტს კაცი ჭამიები სწორედ სადილის მომზადების დროს ენახა. რამდენიმე დედაკაცები ცხელი წყლით ადამიანის სხეულსა რეცხავდნენ მოსახარშავად, რის გამო ტანის შავი ფერი მკრთალ ნაცრის ფრად გარდაიქცა. მეორედ შვეინფურტმა ერთ კაცის ჭამიების ქოხში ახლად მოჭრილი კაცის ხელი ნახა, რომელიც გასახმობად ბუხრის თავზე ჩამოეკიდნათ. დასასრულ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ კაცი ჭამიობას აფრიკაში ბევრი მომხრეები ჰყავს, რამდენიმე აფრიკის ოლქებში კაცი-ჭამიობა დავიწყებულია და იქაურ მცხოვრებლებს ეს მხეცობა ძველ თქმულებად მიაჩნიათ, ზოგ ოლქებში კი -მ ჩვეულებას მიყრუებულ ადგილებში მისდევენ, თუმცა ზანგი ამ მხეცობის აღსრულების დროს სირცხვილსა და ავკაცობასა ჰგრძნობს. კანნიბალიზმის (კაცი ჭამიობის) აღმოფხვრას აფრიკის უმეტეს ადგილებში ევროპის კულტურის გარდა მაჰმადიანობის გავრცელებაც ჰშველოდა და უნდა მოველოდდეთ, რომ ქრისტიანობა უფრო ხელს მოჰკიდებს და ჩქარა თუ გვიან ამ ჩვეულებას სრულებით აღმოფხვრის და ეს მხეცობა იქაურ მცხოვრებლებს უეჭველია ძველ თქმულებად და ზღაპრად მიაჩნდებათ.

პავლე მოსულიშვილი

* * *

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

31 მაისი

ლონდონი. გამოცხადებულია, რომ ბრიტანიის ელჩი კოპენგანენში სკოტი დანიშნულია ელჩად პეტერბურგში.

ვაშინგტონი. ზღვის სამინისტრომ გამოაქვეყნა, ცნობა რომლიდანაც სჩანს, რომ სამპსონმა 7 ივნისს მიანდო გემებს „გარბელა ხედსა“ და „იანკეს“ გვანტანამის გარეთა ბუხტის აღება. გემები შევიდნენ, გააქციეს ისპანიის გემი შინაგან პორტში და აიღეს გარეთა ბუხტი, რომელიც „მარბლეჰედმა“ კიდეც დაიჭირა.

ძლიერმა ფლოტმა, რომელიც შემდგარია 16 გემისაგან, თავი მოიყარა ფლორიდის წყლებში, რომ თან გაჰყვეს ჯარს კუბისაკენ.

ჰავანა. სამპსონის რვა გემმა ერთბამად დაუშინა ყუმბარები სანტ-იაგოს 10 ივნისს, რამდენიმე გემი მიაყენეს რიყეზე ჯარის გადასაყვანად. ზარბაზნების სროლამ გასტანა სამ საათს, ისპანიელნბმა არ აცალეს ჯარის გადაყვანა. ამერიკის ყუმბარებს, რომლებიც შორიდან დაუშინე, არავითარი ზარალი არ მიუცია ისპანიელთათვის.

ნიუ-პორტი. (ვირგინია) აქ ხალხი ძლიერ აღელვებულია იმ დეპეშისაგან, რომელიც მანიშნებელ სადგურ კაპ-გენრიდან მოვიდა და რომელიც იუწყება, რომ ელექტრონის რეფლექტორებით აღმოაჩინეს ისპანიის ოთხი გემი, რომლებიც სამხრეთისაკენ მიდიოდნენო.

კანეა, რადგან თესალიიდგან ჯარი უკვე გაიყვანეს, მოლაპარაკება კრიტზე თვით მმართველობის დამყარების შესახებ განახლებულ იქმნა. ფიქრობენ, რომ ამ მოლაპარაკებას მოჰყვება დროებითი მართვა-გამგეობის შემოღება, რომლის უმთავრესი მონაწილენი იქნებიან ადგილობრივი მცხოვრებნი.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა: 1) ისევ ნება დართულ იქმნეს გაზეთის „რუსკი ტრუდის“ ცალკე ნომრებად გაყიდვა; 2) აღკრძალულ იქმნეს გაზეთების „ბირჟევია ვედომოსტისა“ და „პეტერბურგსკაია გაზეტის“ ცალკე ნომრებად გაყიდვა.

თურქესტანის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობის დროებითი აღმასრულებლის გენერალ-ლეიტენანტის კოროლკოვისაგან მოვიდა დაწვრილებითი ცნობები ანდიჟანში, 24 მაისს მომხდა ამბების შესახებ, და დამნაშავეთა შესაპყრობად და წესიერების აღსადგენად მიღებულ ზომების შესახებ. ამ ჟამად ანდიჟანში, გარდა თურქესტანის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებლისა, იმყოფებიან უმაღლესი ბრძანებით გაგზავნილი პირები, მათ შორის გენერალ მაიორი ჩაიკოვსკი, ფერგანას სამხედრომ გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებლედ, და გენერალ-მაიორი იონოვი, ყველა იმ ჯარების კამანდირად, რომლებიც დანიშნულნი ირიან ყაჩაღის იშნის და მიამხანაგების შესაპყრობად და წესიერების დასამყარებლად. უკანასკნელი ცნობების მიხედვით, წესიერება არსად დარღვეულა.

* * *

განცხადებანი

მმართველობა ყარსის რკინის გზისა ამით საყოველთაოდ იუწყებს, რომ ამას წინედ დაბეჭდილი განცხადებაში შესახებ იჯარით გაცემისა გზების გასაყვანად სადგურ სანაინიდან სოფ. სუზუნლიარამდე ბორჩალოს მაზრაში შეცდომით არის დაბეჭდილი, რომ ვადა თხოვნების შემოსატანად ანიშნულია ამ წლის 10 ივნისისათვის, უნდა იყოს 10 ივლისისათვის 1898 წ.

(4—2)

გამოვიდა და ისყიდება
„ცნ. ფურც.“-ს გამოცემა № 2
თავ.
ილ. ჭავჭავაძე
(წერილი ხალხისათვის)
ნადიკვრელისა

ურბენი L'urbain
საზოგადოება, რომელიც აზღვევს თანხებს, მზითვებს, შემოსავლებს და სხვა. შეღავათიანის პირობებით ავადმყოფობისა თუ შეუძლებლობის დროსათვის.
დაზღვეულთ მონაწილეობა ეძლევათ მოგებაში დაზღვევის პირველ წლიდანვე.
კონტორა ამიერ-კავკასიისა, ამიერ-კასპიისა, თურქესტანისა და ბუხარის მხრისათვის იმყოფება **ტფილისში,** მიხეილის ქუჩა № 9, პოპოვის სახლი. ტელეფონი № 543.
მთავარი რწმუნებული ბაგრატ გერასიმეს ძე ტერ-მათეუზოვი
ინსპექტორი ნიკოლოზ გერასიმეს ძე ტერ-მათეუზოვი.
ცნობანი და წიგნაკები ყველას მიეცემა აგენტებისაგან მთელს რუსეთის იმპერიის ქალაქებში.
Контора страховаго общ. „**УРБЭНЪ**“
Тифлисъ, Михайловская № 9, д. Попова. Телефонъ № 543.
(50—2)

ახლად გახსნილი
სტამბა
„ცნობის ფურცლისა“
ტფილისი, სასახლის ქ., სათავად-აზნაურო ქარვასლაში №№ 119 120 და 121
✦✦ სტამბა ყოველისფრით სავსე და გოწყობილია ✦✦
ყოველგვარი საქმე სრულდება სწრაფად. სუფთად და იაფად.
სტამბა ასრულებს აგრეთვე პროვინციის მცხოვრებთა შეკვეთას; მსურველნი მიჰმართავენ სტამბას, რომელიც კისრულობს ხელ-ნაწერების აწყობას, დაბეჭდვას, ქაღალდის ყიდვას, კორექტურას, ენის შესწორებას, საცენზუროდან ნება-რთვის აღებას და სხ.
ჰბეჭდავს სავიზიტო ბარათებს სხვა-და-სხვა გვარ ქაღალდზე ვაჟებისა და ქალებისათვის იაფად და მშვიანად.
ВОВНОВЬ ОТКРЫТОЙ
ТИПОГРАФІИ
„Цнобисъ Пурцели“
В. Л. ГУНІА
Тифлисъ, Дворц. ул., д. Грузинскаго Дворианства.
Исполняются всевозможные заказы на всѣхъ Туземныхъ и Европеискихъ языкахъ.
Дешевизна, изящество и быстрота исполненія

საზღვევი საზოგადოება
„იაკორი“
უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს მოსკოვში
ტფილისის უმთავრესი საგენტო
დებულობს
დაზღვევას ცეცხლისაგან
ყოველ-გვარ უძრავ და მოძრავ ქონებისას.
დაზღვევას სიცოცხლისა და თანხებისა
შეღავათიანის პირობებით, მაგალითად შეღავათი იმ შემთხვევაში, როცა დაზღვეულს შრომა არ შეუძლიან და აგრეთვე დაზღვეულს სარგებლობა ეძლევა საზოგადოების მოგებიდან
დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან
მიიღებიან საერთოდ დაზღვევა მუშებისა, ქარხნებსა და სახელოსნოებში, აგრეთვე დაზღვევა კერძო პირებისას
დაზღვევა გაგზავნილ საქონლებისა
ზღვაზედ, მდინარეებზედ თუ ხმელეთზედ, აგრეთვე დაზღვევა გემებისა
თხოვნებით და ყოველ-გვარ ცნობათა შესატყობად დაზღვევაზე შეიძლება მიჰმართონ ტფილისის კონტორაში უმთავრესს აგენტს ალექსანდრე გრიგოლის-ძეს სერგეევს, ერევნის მოედნის ყურში თავ. ციციშვილის სახლებში № 2. და აგრეთვე მოსკოვში საზოგადოების გამგეობაში.
Страховое Общество „ЯКОРЬ“
Высочайше усвержденное въ 1872 г. въ Москвѣ
Принимаетъ: 1) Страхованіе отъ огня, 2) страхованіе жизни и капиталовъ, 3) страхованіе отъ несчастныхъ случаевъ и 4) страхованіе транспортовъ.
Контора Тифлисскаго Главнаго Агента Александра Григорьевича Сергѣева
на углу Эриван ской пл д. кн. Цицінова № 2. (50—24)

Дозволено ценсурою. Тифлисъ, 1-го Іюнія г. სტამბა „ცნობისფურცლისა“ (ვ. გუნიასი) სას. ქ. სათ.-აზ. ქარვ. რედაქტორ-გამომცემელი **ვალ. გუნია**